მეათე “საიუბილეო” ქულა

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 13 სექტემბერი.

“დინამო” (თბილისი) – ასკ (ოდესა) 0:0.

“დინამო”: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, შერგელაშვილი, ჭელიძე (მაისურაძე), ცხოვრებოვი, ხართიშვილი, ილიადი, დათუნაშვილი, იამანიძე, გ. სიჭინავა, მესხი.

ასკ: გრიშკოვი, შვედიუკი, ლუკაშჩუკი, მანზიიჩუკი, ზახაროვი, ოსიპოვი, პროსიკოვი (საფარიანი), გორბაჩი, სატაევი, კოროტკოვი, ვარგა.

მსაჯი ნ. კრილოვი (კუიბიშევი).

დუბლიორები – 5:1 თბილისელთა სასარგებლოდ.

ოდესის არმიელებმა მიმდინარე ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში პირველი ქულა თბილისის “დინამოსთან” შეხვედრის შემდეგ ჩაიწერეს. ეს მოხდა 2 მაისს. დაახლოებით ხუთი თვის მანძილზე ასკ-მ ამ პირველ ქულას მხოლოდ 8 ახალი დაუმატა და მტკიცედ დაიმკვიდრა აუტსაიდერის ადგილი. გუშინ ოდესელებმა “დინამოს” სტადიონზე მე-10 “საიუბილეო” ქულა აიღეს, მაგრამ ამით ოდნავადაც ვერ გაიუმჯობესეს მდგომარეობა. ოდესის არმიის სპორტული კლუბის გუნდი კვლავ ქვედა ლიგაში გადასვლის ერთ-ერთ ყველაზე რეალურ პრეტენდენტად რჩება.

თამაშის დასაწყისიდანვე ცხადი გახდა, რომ ოდესელებს საკმაოდ თავისებური წარმოდგენა აქვთ ფეხბურთზე. მათი მთავარი მიზანი მეტოქის კარი კი არ იყო, არამედ საკუთარი საჯარიმო მოედნის უსაფრთხოება. ამიტომ მათ შეტევის წარმოების სურვილიც კი არ გამოუხატავთ. 7-8, ზოგჯერ კი მეტი ფეხბურთელი ფუტკარივით ფუსფუსებდა მეკარის გარშემო და ყოველგვარ ხერხს მიმართავდა, რათა ბურთი რაც შეიძლება შორს გადაეგდო.

ასეთ ვითარებაში გაკვირვება გამოიწვია დინამოელთა ტაქტიკამ (ლაპარაკი გვაქვს მხოლოდ I ნახევარზე), რომლებიც სტუმრების კარს მხოლოდ 3 ფეხბურთელით (დათუნაშვილი, იამანიძე, მესხი) უტევდნენ. დინამოელებმა პირველი, თუ შეიძლება ასე ითქვას, საგოლე მომენტი უკვე მე-4 წუთზე შექმნეს. დათუნაშვილმა ჩამოაწოდა “მოჭრილი” კუთხური, რომელიც ძლივს მოიგერია გრიშკოვმა. ბურთთან ისევ დათუნაშვილი გაჩნდა, მაგრამ ძლიერი დარტყმა ახცდა ოდესელთა კარს.

ათიოდე წუთის შემდეგ მესხმა ოსტატურად აუარა გვერდი რამდენიმე მცველს და კარისკენ დაარტყა. გრიშკოვს ბურთი ხელიდან გაუსხლტა. მაგრამ იქვე გაჩნდა არმიელთა რამდენიმე მცველი და... ხელსაყრელი მომენტიც დაიკარგა. საინტერესოა ითქვას, რომ მთელი პირველი ტაიმის მანძილზე ოდესელ თავდამსხმელებს დინამოელთა კარში ბურთი არ დაურტყამთ.

შესვენების შემდეგ დინამოელებმა მძაფრი შტურმი წარმოიწყეს, ბურთი ფაქტიურად არ მოსცილებია სტუმრების საჯარიმო მოედანს. ასკ მთელი ძალებით იცავდა თავს, არ ერიდებოდა დროის აშკარად გაყვანას. მაგრამ ამ ქაოსში ძნელი იყო თავისუფალი დერეფნის გამონახვა. ოდესელი ფეხბურთელები უაღრესად დიდი თავგანწირვის ფასად უახლოვდებოდნენ სასურველ ფინიშს და აი, გაისმა კიდეც მსაჯის საფინალო სასტვენის ხმა.

ნ. ბადრიძე.

“ლელო”, 14 სექტემბერი, 1966 წ.